საფეხბურთო კავშირის თასზე

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მინსკი) 0:1 (0:1)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 3 მარტი.

თბილისი: გაბელია, თეთრაძე, თედეევი, ჭედია, არზიანი, აფციაური (ფანცულაია), სვანაძე, ცვეიბა, (ყაველაშვილი), ცაავა, კაჭარავა, (ქეცბაია), გოგიჩაიშვილი.

მინსკი: კურბიკო, როდნენოკი, ლესუნი (გურინოვიჩი), როსინინი, პავლიუჩუკი, ზიგმანტოვიცი, ანტონოვიჩი (გერასიმეცი), შიროკი, ალეინიკოვი, სოკოლი (მარხელი), შალიმო.

მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი)

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ტრადიციული გათამაშება წლეულს ახალი სახელწოდებით წარუდგინეს ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას და საფეხბურთო კავშირის სახელობის უწოდეს. მართალია, თვით საფეხბურთო კავშირი ჩვენში ჯერ არ შექმნილა, მისი სახელობის შეჯიბრება კი უკვე არის. ამით არსებითად არაფერი შეცვლილა. საქმე ისაა, პასუხობს თუ არა ეს ახალი შეჯიბრება იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლისთვისაც იგი გათვალისწინებულია. კრიტიკული შენიშვნები მრავლადაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სეზონის მთავარი მოვლენების წინ გამართულ ამხანაგურ საკონტროლო შეხვედრებს, ეტყობა, მაინც ჯობია უმაღლესი ლიგის გუნდების ოფიციალური შეჯიბრება. იგი უფრო სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს გუნდებს და ამიტომაც უფრო პრესტიჟულიცაა.

ჩვენც ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ თასის მატჩს მინსკისა და თბილისის დინამოელთა შორის. თბილისელებმა ეს თამაში წააგეს. წაგებას კი გარკვეული მიზეზები მუდამ თან ახლავს. ჩვენც შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ახლავე, სანამ არ დაწყებულა მთავარი შეჯიბრებები - სსრ კავშირის ჩემპიონატი და სსრ კავშირის თასის გათამაშება.

ძალთა თანაფარდობა მინდორზე დაახლოებით თანაბარი იყო. რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობა რომელიმე მხარეს არ ჰქონია, მაგრამ ნაკლოვანებანი ორივე გუნდის თამაშში მრავლად შეიმჩნეოდა. რა თქმა უნდა, არვინ აპირებს მარტის დასაწყისში მოსთხოვოს მოთამაშეს სრული მზადყოფნა, ფეხბურთელები ნამდვილ საბრძოლო სპორტულ ფორმაში მოგვიანებით შევლენ, მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისი „დინამოს“ მოთამაშეთა ერთი წყება აშკარად გამოკვეთილი შეცდომებით თამაშობს. ეს იგრძნობა ბურთის ელემენტარული ტექნიკური ილეთების შესრულების დროსაც, არის ხარვეზები ტაქტიკურ სქემაშიც, უფრო სწორად, მოთამაშეები ვერ ასრულებენ წინასწარ დასახულ კომბინაციურ ურთიერთქმედებას და ხშირად ცდებიან ბურთის გადაცემისას.

ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოს“ თამაშმა ამ დღეს სახარბიელო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, დინამოელ ფეხბურთელებს მზადების ფორსირებული ტემპები სჭირდებათ, რათა ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის 52-ე ჩემპიონატის სტარტს.

განვლილი მატჩის მსვლელობაში მასპინძლებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ცვეიბამ, აფციაურმა, კაჭარავამ ვერ გამოიყენეს ისინი. რაც შეეხება სტუმრებს, მათ 35-ე წუთზე საუკეთესოდ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია და შორი მანძილიდან მიწოდებული ბურთი ანტონოვიჩმა ზუსტი თავური დარტყმით გაიტანა კარში - 1:0. მატჩის მიწურულს თბილისელებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ.

“ლელო” 5.03.1989